


შინამეურნეობის მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი განაწილება




მოზარდების კეთილდღეობის მოკლე აღწერა ორგანიზებულია მოზარდთა ძირითადი პრიორიტეტების მიხედვით:

- ყოველი მოზარდის გადარჩენა და განვითარება
- ყოველი მოზარდი სწავლობს
- ყოველი მოზარდი დაცულია ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან
- ყოველი მოზარდი ცხოვრობს უსაფრთხო და სუფთა გარემოში
- ყოველ მოზარს აქვს ცხოვრების თანაბარი შანსი

ყოველი მოზარდის გადარჩენა და განვითარება


მოზარდობის ხანა გარკვეული განზომილებებით ყველაზე ჯანმრთელი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში, თუმცა ამ დროს შესაძლოა გამოვლინდეს ისეთი პრობლემები, რომელმაც მთელი სიცოცხლის მანძილზე გავლენა მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ამგვარ პრობლემებს განეკუთვნება დაუცველი სქესობრივი ქცევა, ადრეული შვილოსნობა და ნარკოტიკებისა და სხვა ნივთიერებების ბოროტად მოხმარება. მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით ამ პერიოდში განხორციელებულ ინტერვენციებს ხანგრძლივი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. შესაბამის კონტრაცეფციულ მეთოდებზე წვდომას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადრეულ ასაკში ორსულობისა და მასთან დაკავშირებული შედეგების პრევენციისათვის, რაც მოზარდებს საშუალებას მისცემს ზრდასრულ ასაკს მიაღწიონ ისე, რომ ჰქონდეთ შესაძლებლობა დაგეგმონ ორსულობა და ჯანმრთელად და პროდუქტიულად იცხოვრონ.

საჭიროება და მოთხოვნა ოჯახის დაგეგმვაზე (ამჟამად დაქორწინებული/პარტნიორთან მცხოვრები)



- ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა
- ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაკმაყოფილებული მოთხოვნა
- მოთხოვნა ოჯახის დაგეგმვაზე დაკმაყოფილებულია თანამედროვე მეთოდებით

კონტრაცეპტივების გამოყენება (ამჟამად დაქორწინებული/პარტნიორთან მცხოვრები)



- არ იყენებენ არცერთ მეთოდს
- ნებისმიერი თანამედროვე მეთოდი
- ნებისმიერი ტრადიციული მეთოდი


ამჟამად დაქორწინებული ან პარტნიორთან მცხოვრები 15-19 წლის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც აქვთ ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი და დაკმაყოფილებული საჭიროება, ქალების პროცენტული წილი, რომელთა მოთხოვნა ოჯახის დაგეგმვაზე დაკმაყოფილებულია თანამედროვე მეთოდებით.

15-19 წლის ქალების პროცენტული წილი, რომლებიც იყენებენ (ან რომელთა პარტნიორებიც იყენებენ) კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდს, ტრადიციულ მეთოდს ან არცერთ მეთოდს

* მონაცემი "მოთხოვნა ოჯახის დაგეგმვაზე დაკმაყოფილებულია თანამედროვე მეთოდებით" ეფუძნება 25-49 შეუწონავ დაკვირვებას


ყოველი მოზარდის გადარჩენა და განვითარება

ინფორმირებული/ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, SDG ინდიკატორი 5.6.1



- დაქორწინებული ან პარტნიორთან მცხოვრები 15-19 წლის ასაკის ქალები:
- 1) შეუძლია უარი უთხრას ქმარს/პარტნიორს სქესობრივ აქტზე თუ თავად არ უნდა
 - 2) კონტრაცეპტივის გამოყენება არის თავისი გადაწყვეტილება
 - 3) თავად იღებს ქალის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს

ადრეულ ასაკში შვილსობა




15-19 წლის ასაკის ქალების პროცენტული წილი, რომელთაც ჰქონდათ ცოცხლადშობილი ან არიან ორსულად პირველ ბავშვზე, ჰქონდათ ცოცხლადშობილი 15 წლამდე

ყოველი მოზარდი სწავლობს


სკოლაში ხარისხიანი განათლება და გამოცდილება დადებით ზეგავლენას ახდენს მოზარდთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობასა და მათ სოციალურ განვითარებაზე. თუმცა, მოზარდები შეიძლება სკოლის მიტოვების, ადრეულ ასაკში ქორწინების, ორსულობის, ან სამუშაო ძალაში ნაადრევად ჩართვის რისკის წინაშე აღმოჩნდნენ.

დასწრების წმინდა მაჩვენებელი (კორექტირებული)



დასწრების წმინდა მაჩვენებელი განათლების დონისა და სქესის მიხედვით


სკოლის სრული საშუალო საფეხურის გარეთ



სრული საშუალო განათლების შესაბამისი ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც არ ესწრებიან სკოლის დაწყებით, საშუალო ან განათლების უფრო მაღალ საფეხურს

ყოველი მოზარდი დაცულია ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან

ადრეული ქორწინება: SDG 5.3.1




პროცენტული წილი 20-24 წლის ასაკის ქალებისა, რომლებიც პირველად დაქორწინდნენ ან დაიწყეს ცხოვრება პარტნიორთან 15 და 18 წლის ასაკამდე, დასახლების ტიპის მიხედვით


მოზარდობის პერიოდი დამახასიათებელია ძალადობის სხვადასხვა ფორმების მაღალი რისკის სიხშირით. სქესობრივი მომწიფების დაწყება გოგონებისა და ბიჭების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდამავალი პერიოდია, როდესაც გენდერი, სექსუალურობა და სექსუალური იდენტობა მეტ მნიშვნელობას იძენს, იზრდება დაუცველობა ძალადობის გარკვეული ფორმების მიმართ, განსაკუთრებით მოზარდი გოგონებისათვის. მოზარდობის პერიოდში, ბავშვები უფრო მეტ დროს ატარებენ თავიანთი სახლების გარეთ და უფრო ახლო ურთიერთობა აქვთ სხვადასხვა ადამიანებთან, მათ შორის თანატოლებთან და რომანტიულ პარტნიორებთან. სოციალური სამყაროს ამგვარი ცვლილება სასარგებლოა მრავალი ასპექტით, მაგრამ ამავდროულად მოზარდებს აყენებს ძალადობის ახალი ფორმების პირისპირ.

ყოველი მოზარდი დაცულია ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან


ბავშვის აღზრდა




ფიზიკური დასჯა



ფსიქოლოგიური აგრესია




ნებისმიერი ძალადობრივი მეთოდი*



10-14 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი ბავშვის აღზრდის მეთოდების მიხედვით
*ასაკის ჩაშლა SDG 16.2.1

ყოველი მოზარდი ცხოვრობს უსაფრთხო და სუფთა გარემოში

სასმელი წყალი, სანიტარია და სუფთა საწვავის გამოყენება



წინამდებარე მონაცემები შინამეურნეობის დონეზეა წარმოდგენილი. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მოზარდთა წვდომა ამ მომსახურებებზე შესაძარსია შინამეურნეობის დონეზე არსებულ მონაცემებთან.







მირითადი სასმელი წყალი SDG 1.4: სასმელი წყალი გაუმჯობესებული წყაროდან, გამომდინარეობს იმ პირობიდან, რომ წყლის შეგროვებას და მოტანას 30 წუთზე მეტი დრო არ სჭირდება, რიგში დგომის დროის ჩათვლით. გაუმჯობესებულ სასმელი წყლის წყაროებში იგულისხმება ისეთი წყაროები, რომელთა დიზაინი და კონსტრუქცია უსაფრთხო წყლის მიწოდების შესაძლებლობას იძლევა, მათ მიეკუთვნება: წყალსადენის წყალი, ჭაბურღილი, დაცული ჭა, დაცული წყაროები, წვიმის წყალი და ბოთლებში ჩამოსხმული წყალი.

მირითადი სანიტარული მომსახურებები SDG 1.4.1/6.2.1: გულისხმობს გაუმჯობესებულ სანიტარულ კვანძებს, რომელიც არ არის სხვა შინამეურნეობებთან საზიარო. გაუმჯობესებულ სანიტარულ კვანძებში იგულისხმება ისეთი კვანძები, რომელთა კონსტრუქცია ჰიგიენურად აცალკევებს ექსკრემენტს ადამიანთან კონტაქტისგან და მოიცავს: ავტომატურად ან ხელით ჩასარეცხ საკანალიზაციო სისტემასთან მიერთებულ ტუალეტებს, ჩასარეცხ სეპტიკურ რეზერვუარებს ან ჩასარეცხ ორმოიან ტუალეტებს; ორმოიან ტუალეტებს ჩარეცხვის გარეშე, ცემენტის ან სხვა მყარი ფენის დასადავამი ზედაპირით.

სუფთა საწვავი SDG 7.2.1: მირითადი ხელმისაწვდომობა სუფთა საწვავსა და ტექნოლოგიებზე საკვების მოსამზადებლად, საცხოვრისის გასათბობად და განათებისათვის


ყოველ მოზარდს აქვს ცხოვრების თანაბარი შანსი

დისკრიმინაცია და შევიწროება



15-19 წლის ასაკის მოზარდი ბიჭებისა და გოგონების პროცენტული წილი, რომლებმაც განიცადეს დისკრიმინაცია ან შევიწროება ბოლო 12 თვის განმავლობაში, მიზეზების მიხედვით

ფუნქციონალური სირთულეები მოზარდებში



ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებსაც აქვთ ფუნქციური სირთულეები ფორმებისა და ასაკის მიხედვით

თანასწორობის მხრივ მდგრადი პროგრესისა და შედეგების მისაღწევად, საჭიროა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება. ადამიანის საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპია დისკრიმინაციის დაუმშავლობა და ბრძოლა მისი განსაზღვრული ფორმების წინააღმდეგ, როგორცაა დისკრიმინაცია ქალთა მიმართ, ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, მიგრანტების მიმართ, უმცირესობათა ჯგუფების მიმართ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ, ასევე რასაზე და რელიგიაზე, ან სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია. რადგან მოზარდები ძირითადად ამ პერიოდში იწყებენ იდენტობის გამოვლილებას, დისკრიმინაცია შესაძლოა უფრო გამოვლენილი გახდეს და მიიღოს შევიწროების, ბულინგის ან გარკვეული აქტივობებიდან გარიყვის ფორმა. ამავე დროს, კვლევები გვიჩვენებს, რომ მოზარდობის პერიოდში დისკრიმინაციას განსაკუთრებული ძლიერი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია სტრესის ჰორმონებზე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გვერდითი მოვლენები მთელი ცხოვრების მანძილზე ფსიქიკური ან ფიზიკური ჯანმრთელობის მხრივ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და მოზარდები საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფია. ისინი განიცდიან ყოველდღიურ დისკრიმინაციას უარყოფითი დამოკიდებულების სახით. ადეკვატური პოლიტიკის და კანონმდებლობის ნაკლებობის პირობებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებს ფაქტობრივად ეზღუდებათ ჯანმრთელობის, განათლების და თვითაღმარების უფლების რეალიზებაც კი.

საკვანძო გზავნილები

- 15-19 წლის ასაკის ამჟამად დაქორწინებულ ან პარტნიორთან მცხოვრები ქალების 22%-ს აქვს ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი საჭიროება, მაშინ, როცა 29%-ს აქვს ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე დაკმაყოფილებული საჭიროება.
- 15-19 წლის ასაკის ქალების 14%, რომლებიც დაქორწინებული არიან ან ცხოვრობენ პარტნიორთან, კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდს იყენებენ.
- ქალაქად 15-19 წლის ასაკის ქალების 5%-ს და სოფლად 12%-ს ჰქონდათ ცოცხლადშობადობა ან იყვნენ ორსულად პირველ ბავშვზე.
- დასწრების წმინდა მაჩვენებელი სქესობრივ ჭრილში არ განსხვავდება

- განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურებზე, თუმცა ოდნავ განსხვავდება განათლების სრულ საშუალო საფეხურზე, სადაც გოგონებში მაჩვენებელი 4 პროცენტული პუნქტით მაღალია, ვიდრე ბიჭებში.
- სოფლად 20-24 წლის ყოველი 4 ქალიდან 1 ქალი იმყოფებოდა პირველ ქორწინებაში ან ცხოვრობდა პარტნიორთან 18 წლის ასაკამდე, ხოლო ქალაქად ანალოგიური მაჩვენებელი ნაკლებია და 8%-ს შეადგენს.
- ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის 86% და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ 19% ძირითადად იყენებს სუფთა საწვავს და ტექნოლოგიებს საკვების

- მოსამზადებლად, საცხოვრისის გასათბობად და განათებისათვის.
- ბოლო 12 თვის განმავლობაში 15-19 წლის ქალების 3%-მა განიცადა დისკრიმინაცია ან შევიწროება სქესის ნიშნით.
- 10-14 წლის მოზარდების დაახლოებით 2%-ს აღენიშნება ფუნქციური სირთულე დეპრესიის მხრივ.
- ფუნქციური სირთულეების მხრივ, ორივე ასაკობრივი ჯგუფისათვის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა შფოთვა, რომელიც მოზარდთა დაახლოებით 4%-ს აღენიშნება.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, მიქსი საქართველო 2018, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გლობალური მიქსის პროგრამის ფარგლებში ჩაატარა 2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და UNICEF-ის, NCDC-ის, USAID-ის, WB-ის, UNFPA-ს, SIDA-ს, AFD-ის, SCD-ის, ISS-ის, UNDP-ისა და WHO-ს ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე მოკლე აღწერილობის ამოცანა მიქსი საქართველოს 2018 წლის კვლევით დადგენილი ცალკეული ფაქტების გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია მოზარდებთან. ამ მოკლე აღწერილობის დეტალური მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში SR4.1, TM3.3CS, TM3.1, LN.2.8, LN.2.6, TM16.1CS, TM.2.2W, PR4.1W, PR2.1, WS3.6, TC4.7, EQ3.1W/M and EQ1.2.

დამატებითი სტატისტიკური მოკლე აღწერილობები და „კვლევის შედეგების ანგარიში“ ამ და სხვა კვლევებისათვის განთავსებულია შემდეგ ვებგვერდზე: mics.unicef.org/surveys.